ინვესტორის ორმაგი მოქალაქეობიდან წარმოშობილი გამოწვევები საინვესტიციო არბიტრაჟში

ანა გოგლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში ბიზნესის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკენაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გოგლიძე

2022 წელი

აბსტრაქტი

საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟში უცხოელი ფიზიკური პირის, ინვესტორის, ორმაგი მოქალაქეობიდან წარმოშობილი გამოწვევები და ბუნდოვანება პირდაპირ კავშირშია იურისდიქციის ნაწილში საინვესტიციო დავების მატებასთან. ორმაგი მოქალაქეობიდან წარმოშობილი სადავო საკითხების ნათლად ჩამოყალიბების და შესაბამისად, ტრიბუნალის იურისდიქციის დადგენისთვის საკითხების სწორად განსაზღვრის, ეფექტურობის მიზეზი შესაძლოა იყოს სწორედ ის, რომ სახელმწიფოებს სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან დადებულ ორმხრივ თუ მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში არ აქვთ ნათლად მოწესრიგებული ინვესტორის მოქალაქეობისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დებულებები, რის შედეგადაც, ვერ იქნება საერთაშორისო საინვესტიციო ერთიანი პრაქტიკა.

ნაშრომის მიზანია საერთაშორისო საინვესტიციო პრაქტიკის, ადგილობრივი პრაქტიკის და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შეფასება უცხოელის ორმაგი მოქალაქეობიდან წარმოშობილი გამოწვევებთან მიმართებით ჰიპოთეტურ მაგალითზე.

კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ სამართლებრივი მეთოდი, აღწერითი/მიმოხილვითი მეთოდი, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი და შეფასებითი მეთოდი. ამასთან, ავტორი საკითხის პრაქტიკულობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, კონკრეტულ ჰიპოთეტურ მაგალითზე განიხილავს საკვლევ საკითხებს (კერძოდ, Georgia-UK BIT-ის მიხედვით).

კვლევის შედეგად დადგინა, რომ საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებებში არის ერთნაირი რეგულირების სტილი და არ არის ნათლად ჩამოყალიბებული მოქალაქეობის განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები, ადგილობრივი კანონმდებლობაშიც შესაბამისი მდგომარეობაა.

რაც შეეხება, საერთაშორისო პრაქტიკას, ცალსახაა, რომ იურისდიქციული დავებიდან გამომდინარე, სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ ორმაგი მოქალაქეობის საკითხს მეტი მოწესრიგება სჭირდება და დაიწყეს შესაბამისი ზომების მიღება. სანამ

ნაშრომში წამოჭრილი სადავო საკითხების მოწესრიგება მოხდება, ცალსახაა, რომ აღნიშნული გავლენას ახდენს დავების რაოდენობაზე და საერთაშორისო პრაქტიკაზე. იმისთვის, რომ აქტუალური გამოწვევები აღმოიფხვრას, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა ეცადოს ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების ნათლად და პირდაპირ რეგულირება ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში.

საძიებო/საკვანძო სიტყვათა ჩამონათვალი: დიპლომატიური დაცვის მექანიზმი, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების მექანიზმი, ორმაგი მოქალაქეობა, საინვესტიციო არბიტრაჟი, ICSID-ის რეჟიმი, არა-ICSID-ის რეჟიმი, დომინანტური და ეფექტური მოქალაქეობა, საქართველოს მოწესრიგება, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, მოქალაქის განმარტება; სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენცია.

Abstract

In International Investment Arbitration the challenges and ambiguities arising from an investor holding dual nationality are directly related to the increase of investment disputes related to the tribunal's jurisdiction. The reason for the effective resolution of investment disputes arising out of dual nationality and, consequently, for the proper guarantee of issues within the jurisdiction of the tribunal may be that the states do not have clearly regulated the provisions of nationality of investors and most favored treatment in bilateral or multilateral investment agreements concluded with other contracting states, as a result of which there can be no unified international investment practice.

The aim of the papere is to assess international investment practices, local practices and bilateral investment agreements based on the hypothetical scenario of the challenges posed by dual foreign nationality.

The study uses historical legal method, descriptive/review method, comparative-legal method and assessment method. However, due to the practicality and complexity of the issue, the author discusses the challenges on a specific hypothetical scenario (specifically, according to Georgia-UK BIT).

As a result of the analysis, it was found that there is a unified regulation style in the agreements concluded by Georgia and the issues related to the definition of nationality are not clearly defined, and the relevant case is in the local legislation.

As for international practice, it is clear that due to jurisdictional disputes, states realized that the issue of dual nationality needed to be further regulated and began to take appropriate measures. Until the challenges raised in the paper are resolved, it is clear that this has an impact on the number of disputes and international practice. In order to eliminate the current challenges, each state should try to clearly and directly regulate challenges related to dual nationality in bilateral or multilateral agreements.

Keywords: Diplomatic Protection mechanism, Investor-state dispute settlement mechanism, dual nationality, Investment Arbitration, ICSID Regime, Non-ICSID Regime, Dominant and Effective Nationality, Regulation of Georgia, Preferential Assistance Mode, Definition of National; Vienna Convention on the Law of Treaties.